

# საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

(2020-2021 წლების შეფასების ანგარიში)



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

# საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2022



Kingdom of the Netherlands



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“, ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

**დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:** გურამ იმნაძე, მარიამ გობრონიძე.

**ავტორი:** ანა პაპუაშვილი

**რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი

**გარეკანი:** როლანდ რაიკი

*აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

[www.facebook.com/socialjustice.org.ge](https://www.facebook.com/socialjustice.org.ge)

## სარჩევი

|                                                                                                         |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                                                          | 4  |
| მეთოდოლოგია.....                                                                                        | 6  |
| ძირითადი მიგნებები .....                                                                                | 7  |
| I. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სამართლებრივი რეგულირება და<br>სტატისტიკური მონაცემები..... | 9  |
| 1.1. საქმეთა შემთხვევითი პრინციპით განაწილება .....                                                     | 12 |
| 1.2. შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეები ....                             | 16 |
| II. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ხარვეზები.....                                             | 20 |
| 2.1. მოსამართლეთა დატვირთულობა და მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი<br>განაწილება .....              | 20 |
| 2.2. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა .....                                   | 24 |
| 2.3. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები<br>26                     |    |
| 2.4. მოსამართლის აცილება და თვითაცილება .....                                                           | 28 |
| 2.5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა.....                                               | 29 |
| 2.6. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხება.....                                                       | 30 |
| 2.7. საქმეთა განაწილების სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა .....                                      | 32 |
| 2.8. საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში ზეგავლენის მოხდენის რისკები<br>33                         |    |
| დასკვნა და რეკომენდაციები .....                                                                         | 34 |



## შესავალი

საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემის შემუშავება სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დანერგილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური სიახლე იყო, რომელსაც სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებისთვის უნდა ეპასუხა. წესი, რომელიც საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციაში, ელექტრონული პროგრამის საშუალებით, საქმეთა შემთხვევითად განაწილებას გულისხმობს, პირველ ეტაპზე რუსთავის საქალაქო სასამართლოში დაინერგა, 2017 წლის 31 დეკემბრიდან კი, მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა.<sup>1</sup> რეფორმამ საწყის ეტაპზე დადებითი შეფასებები დაიმსახურა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან.<sup>2</sup> საქმეთა განაწილების ახალ წესს საქმეთა განხილვის მიუკერძოებლობა, პროცესის გარე ჩარევებისგან დაცვა და მართლმსაჯულების დროული და ეფექტიანი განხორციელება უნდა გაეუმჯობესებინა. ამასთანავე, რამდენადაც საქმეთა განაწილების ხარვეზიანი სისტემა ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის ერთ-ერთი უხეში ბერკეტია და საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას,<sup>3</sup> შემთხვევითად განაწილების წესის დანერგვა სწორედ ინდივიდუალურ მოსამართლეთა შიდა და გარე გავლენებისგან დაცვის, საქმეთა განაწილების პროცესზე მანიპულირებისა და ხელოვნური ჩარევის რისკების შესამცირებლად, ერთ-ერთი არსებითი ინსტიტუციური გარანტია უნდა ყოფილიყო.

დადებითი შეფასებების მიუხედავად, საქმეთა განაწილების სისტემაში, დანერგვის დღიდან კვლავ რჩებოდა არაერთი ხარვეზი და ბუნდოვანება. თუმცა სისტემის ამოქმედებიდან დღემდე განხორციელებული სამართლებრივი ცვლილებებისა და პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, მისი შემდგომი რეფორმირება და დახვეწა არ მომხდარა და ეს პრობლემები კვლავ აქტუალურია.

წინამდებარე დოკუმენტი, რიგით მესამე<sup>4</sup> მონიტორინგის ანგარიშია, რომელიც მიზნად ისახავს 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქმეთა

<sup>1</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MFh21z> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022).

<sup>2</sup> European commission for democracy through law (Venice commission), joint opinion on the draft law on amendments to the organic law on general courts CDL-AD(2014)031 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tNj8Gr> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022) კოალიციის მოსაზრებები სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xewD2J> . წვდომის თარიღი: 09.06.2022).

<sup>3</sup> კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“, თბილისი, 2017, გვ. 70-71 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HziCBa> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022).

<sup>4</sup> პირველი მონიტორინგის ანგარიში - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MCkfPs> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022), ანგარიში მოიცავს პერიოდს სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების ამოქმედებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე; მეორე მონიტორინგის ანგარიში -

ელექტრონული განაწილების წესში შესული ცვლილებების, განახლებული სტატისტიკისა და ამ მხრივ სასამართლო სისტემაში კვლავ არსებული გამოწვევების ანალიზსა და შეფასებას. ანგარიშში მიმოხილულია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან დაკავშირებული ის ხარვეზებიც, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდებში გამოვლინდა და მათ აღმოსაფხვრელად ნაბიჯები არ გადადგმულა. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლების პერიოდში, ამ კუთხით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტები მნიშვნელოვნად არის გაუარესებული, რაც სისტემის ფუნქციონირების ეფექტიან მონიტორინგს მნიშვნელოვნად ართულებს.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“, ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

---

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HlYgvv> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022), ანგარიში მოიცავს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

## მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიში 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების რამდენიმე მეთოდი და წყარო გამოიყენა:

**კანონმდებლობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი** – მონიტორინგისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო წინა მონიტორინგის ანგარიშების შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის კანონმდებლობით დელეგირებულ საკითხებზე თავად საბჭოს გადაწყვეტილებების შეფასება;

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მონიტორინგი** – მესამე მონიტორინგის პერიოდი კოვიდ პანდემიას დაემთხვა. უსაფრთხოების რეგულაციებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე მონიტორინგი რეგულარული დასწრების ნაცვლად, უმეტესად, სხდომის ოქმების გაცნობითა და დამატებითი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით ხორციელდებოდა. სხდომის ოქმების გაცნობა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ზოგადი კონტექსტის, მიზნებისა და საბჭოს წევრთა პოზიციების გაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო;

**სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება** – პროექტის გუნდმა ინტენსიურ რეჟიმში, რამდენიმე ეტაპად გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან, საქალაქო/რაიონული, სააპელაციო სასამართლოებიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან;

**მეორადი წყაროების ანალიზი** – მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის დამატებითი წყარო იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები და შეფასებები.

## ძირითადი მიგნებები

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაზე ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დახვეწა პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს და არსებულ წესში ცვლილებები სულ უფრო ნაკლებად ხდება. შესაბამისად, მესამე საანგარიშო პერიოდში სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები წინა ანგარიშებში დასახელებულ გამოწვევებს ემთხვევა. სისტემის გამართულად ფუნქციონირების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქართველოს პარლამენტს და, განსაკუთრებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ამ პირობებში, მესამე საანგარიშო პერიოდის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი გამოწვევებია:

- საქმეთა განაწილების წესში არაერთი ბუნდოვანი და პრობლემური დებულების კვლავაც არსებობის მიუხედავად, ბოლო წლებში, საქმეთა განაწილების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ნაბიჯები არ გადადგმულა; სამართლებრივ ჩარჩოში შეტანილი ცვლილებები უმეტესად ტექნიკური ხასიათისაა და სასამართლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ვერ პასუხობს;
- კვლავ პრობლემურია, რომ საქმეთა განაწილების ახალი სისტემის დანერგვას არ მოჰყოლია აუცილებელი ცვლილებების სისტემური გააზრება, რაც, მათ შორის, ახალ წესთან არსებული საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გულისხმობს;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის არსებული მოწესრიგება ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენების რისკების მინიმუმამდე შემცირებას. რიგ შემთხვევებში, ბუნდოვანი და გაუმჭვირვალეა როგორც სასამართლოს თავმჯდომარეების, ისე სასამართლოების კანცელარიებისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი ამ პროცესში;
- საქმეთა განაწილების მიმართულებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების გაუარესება მნიშვნელოვნად ართულებს სისტემის ფუნქციონირების ეფექტიან მონიტორინგს;
- 2020-2021 წლების პერიოდში, ჯამურად, 537 929 საქმე განაწილდა, აქედან შემთხვევითი პრინციპის დაცვით - 333 485 საქმე. შესაბამისად, საქმეთა მესამედზე მეტი ისევ შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად ნაწილდება და წინა წლებთან შედარებით, ამ მხრივ, გაუმჯობესება არ შეინიშნება;
- სასამართლოს თავმჯდომარეებს კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს და, შესაბამისად, არსებული კლანურობისა და კორპორატივიზმის ფონზე, დიდია მათ მიერ რიგი უფლებამოსილებების არაკეთილსინდისიერად, თვითნებურად გამოყენების რისკები. პრობლემას წარმოადგენს თავმჯდომარეებისთვის ისეთი



ფართო უფლებამოსილებების მინიჭება, რომლებიც სუბიექტური შეფასების და ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არალეგიტიმური ზეგავლენის შესაძლებლობას იძლევა. ეს უფლებამოსილებებია:

- თავმჯდომარეთა მიერ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვისა და დატვირთულობის გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილება;
  - მორიგეობის დადგენისა და მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება;
  - ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების უფლებამოსილება ნათლად დადგენილი პროცედურის გარეშე;
  - მოსამართლეთა თვითაცილების/აცილების დროს თავმჯდომარეთა ჩართულობა;
  - კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში თავმჯდომარეთა მონაწილეობა.
- კვლავ პრობლემად რჩება მოწესრიგება, რომელიც საერთო სასამართლოებში გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირებისათვის საქმეთა განაწილების განსხვავებულ, ბევრად დაბალ პროცენტულ მაჩვენებლებს ითვალისწინებს;
  - გარკვეულ მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლის გასაიდუმლოების ტრადიციას, მოცემულ საანგარიშო პერიოდში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის - მიხეილ ჩინჩალაძის გარდა, დაემატა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის - ნინო ქადაგიძის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის - ირაკლი ბონდარენკოს, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - ნიკოლოზ მარსაგიშვილის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლებიც. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მათ უზრალოდ არ უთითებს მოსამართლეთა ჩამონათვალში, გარდა ამისა, არც განმარტავს, თუ რა გახდა მათი დატვირთულობის მაჩვენებლის გასაიდუმლოების მიზეზი;
  - საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა კვლავ არ ითვალისწინებს საქმის სირთულესა და წონას, რაც აუცილებელია მოსამართლეთა თანაბარი და სამართლიანი დატვირთვისთვის;
  - საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება 5 რაიონულ სასამართლოში, რადგანაც ამ სასამართლოებში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;
  - სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში არასამუშაო საათებსა და დასვენების დღეებში მოსამართლეთა მორიგეობა დადგენილი არ არის; პირველი ინსტანციის სასამართლოები მორიგეობის გრაფიკს მხოლოდ იმ არგუმენტით არ გასცემენ, რომ ის არ არის საჯარო ინფორმაცია, შესაბამისად ხელმისაწვდომი არ არის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და არც მათი დაარქივება ხდება; თავმჯდომარეთა მიერ მორიგეობის გრაფიკის დადგენის უფლებამოსილების ცხადი მოწესრიგების არარსებობის პირობებში კი, მორიგეობის გრაფიკების „გასაიდუმლოება“ შეუძლებელს ხდის საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგს;

- პრობლემატურია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტების წესი. კოლეგიური განხილვისას საქმე ელექტრონული სისტემის საშუალებით შემთხვევითად ნაწილდება თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე. თუმცა კანონმდებლობა კოლეგიის დანარჩენი მოსამართლეების არჩევის წესსა და პროცედურაზე არაფერს ამბობს;
- სათანადოდ არ არის მოწესრიგებული მოსამართლის აცილების/თვითააცილების დროს საქმეთა ხელახალი განაწილების პროცედურა და ვადები;
- კვლავ ბუნდოვანია, ვინ და რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს „აუცილებელი შემთხვევის“, „მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების“ ან/და „ობიექტური გარემოების“ არსებობა, რომელთა საფუძველზეც: ა) სხვა ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეს კონკრეტული საქმის განხილვის შესაძლებლობა ეძლევა, ბ) ჩერდება საქმეთა განაწილება და საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს გადაეცემა;
- დადებითი ტენდენციაა, რომ საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში დროებითი შეფერხებების შემთხვევა უკანასკნელ 2-წლიან პერიოდში არ გამოვლენილა; მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში პრობლემა თითქოს გადაჭრილია და სისტემის ტექნიკური გამართულობა გაუმჯობესებულია, სამართლებრივი რეგულირება კვლავ ხარვეზიანია. კერძოდ, კანონმდებლობა ნათლად არ განსაზღვრავს სასამართლო კანცელარიის უფლებამოსილებასა და მისი საქმიანობის პროცედურულ საფუძვლებს. ამასთანავე, პრობლემატურია კანცელარიის, როგორც საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში მონაწილეობაზე უფლებამოსილი ორგანოს, ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხი;
- მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელსაც საქმეთა განაწილების ადმინისტრირების მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ფუნქციები აკისრია, სრულად არ არის დაკომპლექტებული, რაც ხელს უშლის დეპარტამენტის ეფექტიან საქმიანობას.

## I. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სამართლებრივი რეგულირება და სტატისტიკური მონაცემები

სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგინდა საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, განაწილება. ამასთანავე, კანონმდებელმა, სისტემის თითქმის მთლიანი და დეტალური სამართლებრივი მოწესრიგება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (შემდეგში – საბჭო) მიანდო. ორგანული კანონით

კი მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების ვალდებულება დადგინდა.<sup>5</sup>

საბჭომ, კანონმდებლობით დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2017 წლის გადაწყვეტილებით,<sup>6</sup> საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი დაამტკიცა. ამ წესის თანახმად, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე ნაწილდება.<sup>7</sup> იმავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა საქმეთა განაწილების პრინციპები, შემთხვევითი განაწილების წესი და მისი გამონაკლისები. ასევე დადგინდა მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის მომწესრიგებელი ნორმები და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების, სასამართლოს კანცელარიისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი ამ პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის დანერგვის საწყის ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ბევრი ცვლილება თუ დამატება შევიდა, თუმცა საქმეთა განაწილების წესში კვლავ არაერთი ბუნდოვანი და პრობლემური დებულება დარჩა.<sup>8</sup> საბჭოს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დახვეწის ვალდებულებები 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმითაც დაეკისრა.<sup>9</sup> თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების მიერ ამ გამოწვევებზე მრავალჯერადი მითითების მიუხედავად, ბოლო წლებში, საქმეთა განაწილების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სხვადასხვა დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, სათანადო ნაბიჯები არ გადადგმულა.

საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დონეზე მოწესრიგდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რამდენიმე სამართლებრივი აქტი, მათ შორის, საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილების წესი, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები თბილისის

<sup>5</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლი.


<sup>6</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56.

<sup>7</sup> იქვე, მუხლი 2.

<sup>8</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, გვ.15-16.

<sup>9</sup> სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით, ასევე განისაზღვრა ელ.განაწილებისა და მართვის სისტემის სრულყოფა და საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში დანერგვა, რაც შესრულდა, თუმცა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული, კვლავ მოიცავს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემასთან დაკავშირებულ აქტივობებს. მათ შორის, ერთ-ერთ ასეთ აქტივობად დასახელებულია ელექტრონული განაწილების პროგრამის მონიტორინგი მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ და შედეგების შესაბამისად პროგრამის დახვეწა/გაუმჯობესება.

საქალაქო სასამართლოსა<sup>10</sup> და თბილისის სააპელაციო სასამართლოში<sup>11</sup> მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრის შესახებ. რაც შეეხება შინაარსობრივ ცვლილებებს, 2020-2021 წლების პერიოდში, ამ დადგენილებაში სულ 3 ცვლილება შევიდა: 2020 წელს - 2, 2021 წელს კი - 1.



საქმეთა განაწილების წესში 2020 წლის ოქტომბერში შესული ცვლილება ტექნიკური შინაარსისაა. კერძოდ, ცვლილებით გაფართოვდა შემთხვევითი წესის დაუცველად გასანაწილებელი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც საქმე განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე ნაწილდება. ასეთი საქმეების ჩამონათვალს დაემატა შემთხვევები, როდესაც: ა) სასამართლომ წარმოებაში მიიღო პირის განცხადება მხარდამჭერად ცნობის შესახებ და ამავე პირზე მსგავსი განცხადებით სასამართლოს სხვა განმცხადებელიც მიმართავს; ბ) სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე და ამჯერად იმავე პირს მხარდამჭერის ფარგლების ცვლილების შესახებ შეაქვს განცხადება.<sup>12</sup>

<sup>10</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/233 გადაწყვეტილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3znBdhL>; წვდომის თარიღი 09.06.2022).

<sup>11</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mwqiKV>, წვდომის თარიღი: 09.06.2022).

<sup>12</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №13 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tseaOZ>; წვდომის თარიღი: 09.06.2022).

2020 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილებაც ტექნიკური ხასიათისაა და იმ საქმეთა ჩამონათვალს აზუსტებს, რომელთა შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონულად განაწილებულ საქმეთა შორის სხვაობის განსაზღვრული რაოდენობა (არ უნდა აღემატებოდეს სამს).<sup>13</sup>

რაც შეეხება 2021 წლის მარტში განხორციელებულ ცვლილებას, ის აწესრიგებს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილების დამატებით წესს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც: ა) ის საქმის განხილვას ავალებს ამავე სასამართლოს სხვა ერთეულს (სპეციალიზებულ შემადგენლობას/კოლეგიას/პალატას/საგამომიებო კოლეგიას), ასევე, ბ) ის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს ავალებს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას ან პირიქით. კერძოდ, თუ დავალების ხანგრძლივობა 10 დღეს აღემატება და ობიექტურად შეუძლებელია, მოსამართლემ პარალელურ რეჟიმში, ორივე ადგილას განახორციელოს უფლებამოსილება, მოსამართლის მოთხოვნით და სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მასზე საქმეთა განაწილება შეიძლება შეჩერდეს დავალების შესრულების ვადით იმ ერთეულში, სადაც ის დავალებამდე საქმიანობდა.<sup>14</sup>

ზემოხსენებული ცვლილებების ანალიზიდან ჩანს, რომ ისინი უმნიშვნელო და უმეტესად ტექნიკური ხასიათისაა და სასამართლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ვერ პასუხობს.

### 1.1. საქმეთა შემთხვევითი პრინციპით განაწილება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილების თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი განიმარტება, როგორც წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე საქმეთა განაწილება.<sup>15</sup>

მონიტორინგის პერიოდში პროექტის გუნდმა 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განაწილებული საქმეების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა როგორც საქართველოს მასშტაბით მსხვილი სასამართლოებიდან,<sup>16</sup> ისე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოდან.

<sup>13</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის დადგენილება №15 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MAcRnQ> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022); საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში არსებულ ჩამონათვალს დამატა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეებზე „სასარჩელო წარმოებისა და საქართველოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>, VII<sup>3</sup>-VII<sup>21</sup> თავებით გათვალისწინებული საქმე“ („ბ.ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ამავე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის ჩამონათვალს - სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში „კერძო საჩივარი/საჩივარი/საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>1</sup>, VII<sup>3</sup>-VII<sup>21</sup> თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე საჩივარი“ („ბ.ბ“ ქვეპუნქტი).

<sup>14</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 24 მარტის დადგენილება №19 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zspNcE> ; წვდომის თარიღი: 09.06.2022).

<sup>15</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 2.

<sup>16</sup> ამბროლაურის რაიონული სასამართლო; ახალქალაქის რაიონული სასამართლო; ახალციხის რაიონული სასამართლო; ბოლნისის რაიონული სასამართლო; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო; გორის რაიონული სასამართლო; გურჯაანის რაიონული სასამართლო; ზესტაფონის რაიონული



2020 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სულ 232 861 საქმე განაწილდა.<sup>17</sup> ამათგან, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების ჯამური რაოდენობა შეადგენს 142 765 საქმეს.<sup>18</sup> რაც შეეხება 2021 წლის პერიოდს, სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საერთო სასამართლოებში სულ 305 068 საქმე განაწილდა, მათგან, შემთხვევითობის წესის დაცვით - 190 720 საქმე.<sup>19</sup> შედეგად, 2020-2021 წლების პერიოდში, ჯამურად, 537 929 საქმე განაწილდა, აქედან შემთხვევითი პრინციპის დაცვით - 333 485 საქმე, რაც საქმეთა მთლიანი რაოდენობის 62%-ს შეადგენს. დამატებით უნდა ითქვას, რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი 2018 და 2019 წლებში არსებულ შედეგებს ემთხვევა. შემთხვევითი პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების პროცენტური მაჩვენებელი, 2018-2019 წლების საანგარიშო პერიოდებშიც, მთლიანი რაოდენობის 62-62%-ს შეადგენდა.<sup>20</sup>

---

სასამართლო; ზუგდიდის რაიონული სასამართლო; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო; თელავის რაიონული სასამართლო; მცხეთის რაიონული სასამართლო; ოზურგეთის რაიონული სასამართლო; სამტრედიის რაიონული სასამართლო; საჩხერის რაიონული სასამართლო; სენაკის რაიონული სასამართლო; სიღნაღის რაიონული სასამართლო; სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო; ცაგერის რაიონული სასამართლო; ხაშურის რაიონული სასამართლო; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო; ბათუმის საქალაქო სასამართლო; ფოთის საქალაქო სასამართლო; რუსთავის საქალაქო სასამართლო; ქუთაისის საქალაქო სასამართლო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო; თბილისის სააპელაციო სასამართლო; საქართველოს უზენაესი სასამართლო.


<sup>17</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის წერილი №887/2840-03-ო.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.


<sup>20</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 12.

### 2020 წელს საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამით განაწილებული საქმეები





- შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილებული საქმეები
- შემთხვევითი განაწილების პრინციპის გარეშე განაწილებული საქმეები

### 2021 წელს საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამით განაწილებული საქმეები



- შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილებული საქმეები
- შემთხვევითი განაწილების პრინციპის გარეშე განაწილებული საქმეები

რაც შეეხება საერთო სასამართლოების ინსტანციების მიხედვით საქმეთა შემთხვევითი წესით განაწილების მაჩვენებელს, სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:



არსებული მონაცემებით, 2020-2021 წლების საანგარიშო პერიოდში შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეების წილი საქმეთა ჯამურ ოდენობაში კვლავ იდენტურია. ამასთანავე,

ამ კრიტერიუმებით საქმეთა თანაფარდობა სასამართლო ინსტანციების მიხედვითაც მსგავსია და მნიშვნელოვანი ცვლილებები და გაუმჯობესება არსებულ მონაცემებში არ შეინიშნება.

## 1.2. შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეები

საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილება საქმეთა აღბათობით განაწილების წესიდან არსებული გამონაკლისების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს. საქმეები, რომლებიც არ ნაწილდება ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურად შერჩეულ, შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე, თავის მხრივ, რამდენიმე კატეგორიად იყოფა. ეს კატეგორიებია: *გამონაკლისი წესით, მორიგეობითა და წესის გარეშე* საქმეთა განაწილება. დამატებით, *მაგისტრ მოხელეზე* ნაწილდება საქმეთა ის კატეგორია, რომელიც მაგისტრის მოსამართლის განსჯადია.

**გამონაკლისი წესით**, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად ნაწილდება, როდესაც: ა) *მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მაგისტრის მოსამართლეა;* ბ) *რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;* ასევე, გ) *რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მორიგე მოსამართლეა.*<sup>21</sup>

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, გამონაკლისი წესით საქმეთა განაწილების ვრცელი ჩამონათვალია განსაზღვრული კონკრეტული სპეციალიზაციის საქმეებისათვის. კერძოდ, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები, განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე 21-მდე შემთხვევაში ნაწილდება.<sup>22</sup>

ბოლოს, №1/56 გადაწყვეტილება ადგენს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განმხილველი მოსამართლეც პირდაპირ არის განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით.<sup>23</sup> მაგალითად, ა) *სასამართლოში წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხს სხდომის/სასამართლოს თავმჯდომარე განიხილავს;* ბ) *განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე და სხვ.*<sup>24</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პროექტის გუნდისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ, ამბროლაურის რაიონულ, საჩხერის რაიონულ, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ და ცაგერის რაიონულ

<sup>21</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 3.

<sup>22</sup> იქვე, მუხლი 3.

<sup>23</sup> იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

<sup>24</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 212, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სასამართლოებში, რადგანაც ამ სასამართლოებში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა.<sup>25</sup>

საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ასევე არ ნაწილდება 31 მუნიციპალიტეტში,<sup>26</sup> ვინაიდან ამ მუნიციპალიტეტებში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს.<sup>27</sup> გამოჩვენებულია მხოლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლო, სადაც უფლებამოსილებას ახორციელებს 2 მაგისტრატი მოსამართლე.<sup>28</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნინოწმინდის მაგისტრატ სასამართლოში 2020 წელს საქმეები ჩვეულებრივ ნაწილდებოდა, მათ შორის, შემთხვევითი პრინციპის დაცვით. 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები კი ამ მაგისტრატ სასამართლოზე მონაცემებს საერთოდ არ შეიცავს.

რაც შეეხება შემთხვევითი პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეების სხვა კატეგორიებს, საერთო სასამართლოებში საქმეები **წესის გარეშე** ნაწილდება, როდესაც სასამართლოს კოლეგიაში ან/და სპეციალიზაციაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა.<sup>29</sup> საქმეთა **მორიგეობით განაწილება** კი გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე (რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს), სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით მორიგეობის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც ეს საქმეები არასამუშაო და სამუშაო საათებში ნაწილდება. მსგავს შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მოსამართლის დატვირთულობის მაჩვენებლის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.<sup>30</sup>

მორიგეობის განსაზღვრა საქმეთა განაწილების სისტემის ერთ-ერთი პრობლემური ასპექტია, როგორც შინაარსობრივი, ისე ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობის თვალსაზრისით. კერძოდ, საერთო სასამართლოებში მორიგეობის განრიგი წინასწარ არის განსაზღვრული, თუმცა სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ნებისმიერი ვადით შეიტანოს მასში ცვლილებები. შესაბამისად, საქმეთა მორიგეობით განაწილების წესი საქმის კონკრეტულ მოსამართლეზე გადაცემის შესაძლებლობას იძლევა.<sup>31</sup> წინა მონიტორინგის ანგარიშში განხილული მაგალითებით დასტურდება,<sup>32</sup> რომ ეს უფლებამოსილება თავმჯდომარეების მხრიდან შექმნილი

<sup>25</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.

<sup>26</sup> აბაშა, ადიგენი, ასპინძა, ახმეტა, ბაღდათი, ბორჯომი, დედოფლისწყარო, დუშეთი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მარტვილი, ონი, საგარეჯო, ტყიბული, ქარელი, ქედა, ქობულეთი, ყაზბეგი, ყვარელი, შუაქვე, ჩოხატაური, წალკა, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული, ხობი და ხულო.

<sup>27</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, გვ. 34.

<sup>32</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 30-31.

კრიზისული ვითარების სწორი და ეფექტიანი მენეჯმენტისთვის არ ყოფილა გამოყენებული. შესაბამისად, რამდენადაც, ამ მიმართულებით, მოცემულ საანგარიშო პერიოდშიც არაფერი შეცვლილა, საქმის მორიგეობით განაწილების წესი კვლავ შეიცავს სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან მორიგეობის გრაფიკის ერთპიროვნულად დადგენის რისკებს და ტოვებს მისი არაჯანსაღი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას.

პროექტის გუნდმა საქართველოს მსხვილ სასამართლოებს მიმართა და მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის თაობაზე საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ დღეისათვის არსებული მდგომარეობა წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსია. კერძოდ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში მორიგეობა დადგენილი არ არის.<sup>33</sup> რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოებს, მორიგეობის გრაფიკი არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამასთანავე, სასამართლოები არ აარქივებენ ამ ინფორმაციას.<sup>34</sup>

იმ სასამართლოებში, სადაც მხოლოდ ერთი მოსამართლეა, საქმეები მხოლოდ მასზე ნაწილდება (წესის გარეშე განაწილების კატეგორიას მიეკუთვნება).<sup>35</sup> მორიგეობის გრაფიკი დანერგული არ არის არც იმ სასამართლოებში, სადაც თითო სპეციალიზაციაში თითო მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, მაგალითად, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში.<sup>36</sup> გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მორიგეობით საქმეები მოსამართლეებზე ნაწილდება არასამუშაო/დასვენების დღეებში, ხოლო სამუშაო დღეებში საქმეები ნაწილდება შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე, ელექტრონული განაწილების პროგრამის მეშვეობით.<sup>37</sup> დამატებით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში 72 საათის განმავლობაში განსახილველი საქმეებისათვის დაწესებულია ერთკვირიანი მორიგეობა, მოსამართლეთა რიგითი ნომრების მიხედვით,<sup>38</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მითითებით კი, არასამუშაო/დასვენების დღეებში მოსამართლეებზე საქმეები ნაწილდება მორიგეობით, ხოლო სამუშაო დღეებში მორიგეობა დაწესებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების

<sup>33</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის წერილი №554-2/10, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №257-2/10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის წერილი №3/8994, ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №3/3730; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი №3-727-2021, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №3-441-22.

<sup>34</sup> მაგალითისათვის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №191 და 2022 წლის 4 მაისის წერილი №170; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №99, ასევე 2022 წლის 5 მაისის წერილი №51; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №9-191; ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №9-60; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №818.

<sup>35</sup> სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი №32; ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი.

<sup>36</sup> გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №191 და 2022 წლის 4 მაისის წერილი №170.

<sup>37</sup> გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №99, ასევე, 2022 წლის 5 მაისის წერილი №51.

<sup>38</sup> ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №9-191; ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №9-60.



შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო, საპროცესო, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების და ბრალდებულის პირველი წარდგენის ღონისძიების შეფარდების შესახებ შემოსული შუამდგომლობების განსახილველად.<sup>39</sup>

საყურადღებოა, რომ პირველ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკი, პროექტის გუნდს, სასამართლოების უმრავლესობამ სრულად მიაწოდა.<sup>40</sup> ამ ინფორმაციის გასაიდუმლოების ტრადიცია მეორე საანგარიშო პერიოდში დამკვიდრდა,<sup>41</sup> რაც საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტის მკვეთრი გაუარესებაა. მეტიც, თავმჯდომარეთა მიერ მორიგეობის გრაფიკის დადგენის უფლებამოსილების ცხადი მოწესრიგების არარსებობის პირობებში, მორიგეობის გრაფიკების გასაიდუმლოება შეუძლებელს ხდის საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგს.

შედეგად, პროექტის გუნდის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად განაწილებულ საქმეებზე, ზემოაღნიშნული კატეგორიების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:


---

<sup>39</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №818.

<sup>40</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 30.

<sup>41</sup> იქვე.

## საქმეთა განაწილება კატეგორიების მიხედვით 2020-2021 წლებში



|        | შემთხვევითი | მორიგე მოსამართლეზე | წესის გარეშე | გამონაკლისი წესით | ელექტრონული პროგრამით მაგისტრატ მოსამართლეზე |
|--------|-------------|---------------------|--------------|-------------------|----------------------------------------------|
| ■ 2021 | 190720      | 49842               | 27736        | 36712             | 58                                           |
| ■ 2020 | 142765      | 39598               | 19814        | 30604             | 80                                           |

■ 2021 ■ 2020

არსებული მონაცემებით აშკარაა, რომ 2020 და 2021 წლებში განაწილებული საქმეების თანაფარდობა, მათი კატეგორიების შესაბამისად, დაახლოებით თანაბარია და საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

## II. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ხარვეზები

### 2.1. მოსამართლეთა დატვირთულობა და მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება

სასამართლოს უკიდურესი გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების ფონზე,<sup>42</sup> საქმეთა განაწილების ეფექტიან მენეჯმენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სისტემის მიზანი არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის ზეგავლენებისაგან დაცვა, არამედ მოსამართლეთა დატვირთულობის ბალანსისა და მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილების

<sup>42</sup> იესპერ ვიტრუპი, თეა მაჩაიძე და სხვ., „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2G8tHvw>; წვდომის თარიღი: 09.06.2022).

მიღწევას. შესაბამისად, პრობლემას წარმოადგენს საქმეთა განაწილებისას საქმეთა სირთულის გაუთვალისწინებლობა.<sup>43</sup>

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება მოწესრიგება, რომელიც საერთო სასამართლოებში გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირებისათვის საქმეთა განაწილების განსხვავებულ, ბევრად დაბალ პროცენტულ მაჩვენებლებს ითვალისწინებს. კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილ მოსამართლეთა შემთხვევაში საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი, როგორც წესი, შემდეგი პროცენტულობით განისაზღვრება:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - 20%, ხოლო თუ წევრი ამავე დროს, არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%;
- იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს - 50%, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს - 20%.<sup>44</sup>
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და კოლეგიის თავმჯდომარე (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა), ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი - განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.<sup>45</sup>

ამასთანავე, გაზრდილი პროცენტული დატვირთულობით ნაწილდება საქმეები ახლად დანიშნულ მოსამართლეებზე ან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნების შემთხვევაში - 150-200%-ის ფარგლებში.

კვლავ პრობლემურია თავმჯდომარის მიერ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა და მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად მოსამართლეთა დატვირთულობის 25%-იანი ბიჯით გაზრდის უფლებამოსილება.<sup>46</sup> გარდა ამისა, თავმჯდომარე უფლებამოსილია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ოჯახური მდგომარეობისა და მოსამართლის ჯანმრთელობის საფუძვლებით, ან სხვა ობიექტური მიზეზის

<sup>43</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, გვ. 23-24.

<sup>44</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5, პუნქტი 6.

<sup>45</sup> იქვე., მუხლი 5, პუნქტი 7.

<sup>46</sup> იქვე., მუხლი 5, პუნქტი 8.

გათვალისწინებით, შეამციროს მოსამართლის ამ დროისათვის არსებული დატვირთულობის მაჩვენებელი არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით.<sup>47</sup>

ზემოაღნიშნული მოწესრიგებით ნათელია, რომ მოსამართლეთა დატვირთულობის განსაზღვრის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მოსამართლეთა თანასწორობას. ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები კი მისი მხრიდან სუბიექტური შეფასების ფართო შესაძლებლობებს წარმოშობს და ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენის რისკებს შეიცავს.

წინამდებარე ცხრილი ასახავს 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მოსამართლე წევრისა და სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეების განსხვავებული დატვირთულობის მაჩვენებელს.<sup>48</sup> აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საბჭომ პროექტის გუნდს ინფორმაცია მიაწოდა მოსამართლეთა დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებლებზე, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს შეეხებოდა.<sup>49</sup> თუმცა მოსამართლეთა დატვირთულობის თაობაზე გამოთხოვილ ინფორმაციაში, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, არცერთ შემთხვევაში არ მიუთითებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის - მიხეილ ჩინჩალაძის დატვირთულობის რაოდენობრივი თუ პროცენტული მაჩვენებელი.<sup>50</sup> რაც შეეხება 2021 წლის 1 ოქტომბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის მონაცემებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია დამატებით არ მოიცავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის - ნინო ქადაგიძის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის - ირაკლი ბონდარენკოს, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - ნიკოლოზ მარსაგიშვილის დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებლებს.<sup>51</sup>

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მოსამართლეთა დატვირთულობასთან დაკავშირებით პროცენტული მაჩვენებლის ცვლილებების ჩანაწერს ელექტრონული პროგრამა არ ინახავს.<sup>52</sup>

| სახელი, გვარი | ადმინისტრაციული თანამდებობა                                                                                         | დატვირთულობის<br>პროცენტული მაჩვენებელი |
|---------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| ნინო ქადაგიძე | უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე | არ მოგვაწოდეს                           |

<sup>47</sup> იქვე., მუხლი 5, პუნქტი 8<sup>1</sup>

<sup>48</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.

<sup>49</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 დეკემბრის წერილი №887/2840-03-ო.

<sup>50</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 39-40.

<sup>51</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი № 431/1158-03-ო.

<sup>52</sup> იქვე.

|                          |                                                                                                                      |               |
|--------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|
| მიხეილ<br>ჩინჩალაძე      | თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე                                                                          | არ მოგვაწოდეს |
| ირაკლი<br>ბონდარენკო     | ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე                                                                          | არ მოგვაწოდეს |
| გიორგი<br>მიქაუტაძე      | უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის<br>თავმჯდომარე                                                       | 5%            |
| შალვა თადუმაძე           | უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა<br>პალატის თავმჯდომარე                                                | 5%            |
| ირაკლი<br>შენგელია       | თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა<br>პალატის თავმჯდომარე                                            | 20%           |
| დიმიტრი<br>გვრიტიშვილი   | თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ<br>საქმეთა პალატის თავმჯდომარე                                        | 10%           |
| პაატა სილაგაძე           | თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის<br>საქმეთა პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი<br>საბჭოს წევრი | 20%           |
| გიორგი<br>გოგინაშვილი    | თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო<br>კოლეგიის მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს<br>წევრი               | 50%           |
| სერგო<br>მეთოფიშვილი     | თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და<br>წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარე                          | 20%           |
| თემურ გოგოხია            | თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის<br>საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი<br>საბჭოს წევრი  | 5%            |
| ბადრი შონია              | თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა<br>კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს<br>წევრი         | 20%           |
| ნიკოლოზ<br>მარგველაშვილი | ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე                                                                            | 20%           |
| მამია ფხაკაძე            | რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე                                                                            | 20%           |
| დავით<br>გელაშვილი       | ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე                                                                               | 100%          |
| შალვა კაკაურიძე          | გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე                                                                               | 20%           |

|                      |                                                                             |               |
|----------------------|-----------------------------------------------------------------------------|---------------|
| ნატრული აკობია       | ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე                                   | 50%           |
| ქეთევან ცინცაძე      | უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი            | 20%           |
| ნიკოლოზ მარსაგიშვილი | თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი | არ მოგვაწოდეს |
| ლევან მიქაბერიძე     | უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი            | 100%          |
| გოჩა აბუსერიძე       | უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი            | 100%          |

მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ კვლავ გამოწვევად რჩება მკვეთრი განსხვავება მოსამართლეებისა და სასამართლოს თავმჯდომარეების/ზოგიერთ მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირების დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებელს შორის. ეს უკანასკნელნი დატვირთულობის კუთხით ცალსახად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც უთანასწორო გარემოს ქმნის. მეორე მხრივ, უკანასკნელი წლების განსაკუთრებული გამოწვევა - საქმეთა გაჭიანურება, სასამართლო სისტემის არაეფექტიანი მენეჯმენტის ცალსახა მაგალითია.

## 2.2.მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა

სასამართლო სისტემის ეფექტიანი მენეჯმენტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის საკითხიც. კონკრეტულ სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს, ხოლო კონკრეტული სპეციალიზაციების შემადგენლობების განსაზღვრა სასამართლოს თავმჯდომარეთა უფლებამოსილებაა. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო<sup>53</sup> და სააპელაციო სასამართლოებშია<sup>54</sup> განსაზღვრული.

სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის განსაზღვრა მათ ფართო დისკრეციას ანიჭებს და ეს უფლებამოსილება დაუბალანსებელია, რადგან არსებული მოწესრიგება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას

<sup>53</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/233 გადაწყვეტილება „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“.

<sup>54</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“.

არ ადგენს. ამგვარი დაუბალანსებელი ძალაუფლების გამოყენებით კი, თავმჯდომარეს, კონკრეტული სპეციალიზაციის შემადგენლობის ცვლილებით, საქმეთა განაწილების სისტემაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ეძლევა. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარეებს საბჭო ნიშნავს. გარდა ამისა, შესაძლებელია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ამავე დროს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობასაც იკავებდეს და ერთდროულად ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს როგორც ზოგადად ვიწრო სპეციალიზაციის დადგენაზე, ისე მისი შემადგენლობის განსაზღვრის პროცესზე.<sup>55</sup>

ბუნდოვანია, ვინ და რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს „აუცილებელი შემთხვევისა“ და „მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების“ წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც სხვა ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეს კონკრეტული საქმის განხილვის შესაძლებლობა ეძლევა.<sup>56</sup>

პროექტის გუნდმა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს მიმართა და თავმჯდომარეების მიერ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე მიღებული ბრძანების ასლები მოითხოვა, 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.<sup>57</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 და 2021 წელს თავმჯდომარემ ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრის შესახებ 11-11 ბრძანება მიიღო. ამასთანავე, სასამართლომ პროექტის გუნდისათვის მოწოდებულ ინფორმაციას თან ყველა ბრძანების ასლი დაურთო.<sup>58</sup>

ამისგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ პროექტის გუნდს მხოლოდ უახლესი ბრძანების ასლი მიაწოდა.<sup>59</sup> დამატებითი წერილობითი კომუნიკაციის შემდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მრავალი ბრძანებაა მიღებული კოლეგიებში დადგენილი ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით მოსამართლეთა შემადგენლობის დადგენის შესახებ. ყველა ცვლილება (სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლა, მოსამართლის დანიშვნა და სხვ.) იწვევს ახალი ბრძანების მიღებას, რომელიც იმავე დროს, აუქმებს წინა ბრძანებას და წლის განმავლობაში ბევრი ასეთი აქტი მიიღება. შესაბამისად, ინფორმაციის მოცულობისა და დამუშავების სირთულეების გათვალისწინებით, სასამართლომ პროექტის გუნდს მხოლოდ დამატებითი კომუნიკაციის დროისათვის არსებული უახლოესი ბრძანებები მიაწოდა.<sup>60</sup> შესაბამისად, თბილისის საქალაქო

<sup>55</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 26.

<sup>56</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, გვ. 35.

<sup>57</sup> „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ 2019 წლის 2 მაისის წერილი №გ01/325/2019.

<sup>58</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის წერილი №3/8994; ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №3/3730.

<sup>59</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი №3-06104/5101724.

<sup>60</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი №3-04122/5182821, ასევე, 2022 წლის 2 მაისის წერილი №3-0642/5722095.



სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის/ცვლილების ბრძანების ასლები, კვლავაც არ არის სრულად ხელმისაწვდომი.

ამ პრობლემის თაობაზე სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ადმინისტრაციული საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს ჯერ კიდევ 2019 წელს მიმართა და დასახელებული ინფორმაცია მოითხოვა,<sup>61</sup> მაგრამ მოთხოვნა არც ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდა.<sup>62</sup> ეს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სარჩელით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში,<sup>63</sup> თუმცა აქამდე მხოლოდ ერთი სხდომა ჩაინიშნა, 2020 წლის დასაწყისში, და მას შემდგომ საქმის განხილვა შეჩერებულია, სასამართლოს პერსონალი კი საქმის გაჭიანურების მიზეზებზე ორგანიზაციას არ აწვდის ინფორმაციას.

### 2.3. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით განსაზღვრულია კონკრეტულ მოსამართლეზე საქმეების განაწილების შეჩერების შესაძლებლობა სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, შვებულების, ორსულობის, სამსახურებრივი მივლინებისა და დეკრეტული შვებულების საფუძვლებით.<sup>64</sup> ასეთ დროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილება დროებით ჩერდება. წესის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს.<sup>65</sup> მოსამართლეზე საქმეთა შეჩერებას დამატებით იწვევს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩენილი 2-თვიანი ვადა, გარდა ისეთი საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება.<sup>66</sup>

ასევე, მოსამართლის სხვა სასამართლოში დანიშვნისას ან იმავე სასამართლოში სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის შემთხვევაში, მასზე საქმეები არ ნაწილდება საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პერიოდიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე.<sup>67</sup>

რაც შეეხება საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევებს, ეს ხდება, როდესაც სახეზეა წესით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი და კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული საქმეების განხილვის ვადების დარღვევის საფრთხე არსებობს. საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის საფუძვლები მოიცავს შვებულების,

<sup>61</sup> „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ადმინისტრაციული საჩივარი, №01/378/2019.

<sup>62</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება №3033927.

<sup>63</sup> „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ადმინისტრაციული სარჩელი, ადმინისტრაციული საქმე №3/6622-19.

<sup>64</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> იქვე.

სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუნარობის პერიოდებს, როდესაც მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედებისთვის დადგენილი ვადა ირღვევა. ასევე, შუამდგომლობის განსახილველად, თუ მისმა განუხილველობამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს. გარდა ამისა, წესით გათვალისწინებულია საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შესაძლებლობა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების შემთხვევაში.<sup>68</sup>

პროექტის გუნდმა საქართველოს მსხვილ სასამართლოებს მიმართა საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის თაობაზე, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. სასამართლოებმა პასუხად მხოლოდ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის კონკრეტულ მუხლზე მიუთითეს და აღნიშნეს, რომ ამ მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობას აფასებს და საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს კანცელარია. უფრო კონკრეტულად, საქმის სხვა მოსამართლეზე დროებით გადაცემის თაობაზე კონკრეტული მოსამართლის (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) ან/და მოსამართლესთან შეთანხმებით მოსამართლის თანაშემწის წერილობით მიმართვის საფუძველზე კანცელარია ელექტრონული სისტემით შერჩეულ მოსამართლეზე უზრუნველყოფს საქმის დროებით გადაცემას. მათი განმარტებით, სასამართლოები შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას დამატებით არ ამუშავებენ.<sup>69</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს<sup>70</sup>, ასევე სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს<sup>71</sup> ცნობით, საანგარიშო პერიოდში საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევა მათთან არ გამოკვეთილა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდში, ამ კუთხით, წესში გამოკვეთილი რამდენიმე ბუნდოვანი საკითხის აღმოსაფხვრელად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ნაბიჯები არ გადაუდგამს. ამის ცალსახა მაგალითია განსაკუთრებული ობიექტური გარემოების განმარტების არარსებობა.

ეს საკითხი, როგორც წინა საანგარიშო პერიოდებში, მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა.<sup>72</sup> სასამართლოს განმარტებით, „განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ შეფასებისას მხედველობაში მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით<sup>73</sup> გათვალისწინებული სტანდარტები, რომელთა

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> მაგალითისათვის, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 მაისის წერილი, №201; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის წერილი №3025; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 5 მაისის წერილი №51; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის წერილი №2266.

<sup>70</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი №3-727-2021, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №3-441-22.

<sup>71</sup> სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის ოფიციალური წერილი.

<sup>72</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის წერილი №608/გ.

<sup>73</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

არსებობაც თავად საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ფასდება. მათივე განმარტებით, მოქმედი წესი არ ითვალისწინებს სასამართლოს რომელიმე თანამდებობის პირის მხრიდან უფლებამოსილებას, შეამოწმოს მოსამართლის მიერ ობიექტურ გარემოებებზე მიჩნეული საფუძვლის არსებობა და უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქმე დროებით სხვა მოსამართლეს გადაეცეს. იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმეზე გრძელდება სამართალწარმოება და დროებითი გადაცემის მიზეზიც აღმოიფხვრება, საქმე ძირითად განმხილველ მოსამართლეს უბრუნდება. უშუალოდ სისხლის სასამართლის საქმის დროებით სხვა მოსამართლეზე გადასაცემად, ელექტრონული სისტემა შემთხვევითად შეარჩევს სათადარიგო მოსამართლეს, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე ადასტურებს, ნიშნავს სათადარიგო მოსამართლედ და საქმე დროებით მას გადაეცემა. კონკრეტული საპროცესო მოქმედების შემდეგ კი, საქმე განსახილველად ძირითად მოსამართლესთან ბრუნდება.<sup>74</sup>

როგორც მეორე მონიტორინგის ანგარიშშიც აღინიშნა,<sup>75</sup> „განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ ამგვარი განმარტება ნაწილობრივ პასუხობს ტერმინის განუსაზღვრელობით გამოწვეულ ბუნდოვანებას. მითითებული მუხლები პროცესის მონაწილის შესაძლო გამოუცხადებლობასა და ამ ქმედების გამომწვევი მიზეზების დასაბუთებას მიემართება. საყურადღებოა, რომ პროცესის მონაწილის შესაძლო გამოუცხადებლობასა და მოსამართლეებზე საქმეთა ელექტრონულ განაწილებას შორის პირდაპირი კავშირი არ იკვეთება. გარდა ამისა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი კონკრეტული სასამართლოს ინდივიდუალური მიდგომა და კვლავ უცნობია, რითი ხელმძღვანელობენ საქართველოს საერთო სასამართლოები ტერმინის ცხადი განმარტების არარსებობის პირობებში.

## 2.4. მოსამართლის აცილება და თვითაცილება

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემურ მოწესრიგებად რჩება მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილება. წესის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის აცილების/თვითაცილების, ასევე, ობიექტური მიზეზებით მის მიერ საქმის განხილვის შეუძლებლობისას, საქმე ნაწილდება ამ მოსამართლის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, როგორც პირველ და მეორე მონიტორინგის ანგარიშებში განიმარტა,<sup>76</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებულ პროცედურულ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს და ბუნდოვანია, ვინ და რა ქმედებები უნდა განახორციელოს ამ პროცესში.

<sup>74</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის წერილი №608/გ.

<sup>75</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 19.

<sup>76</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 30-31; „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 31.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი აცილების/თვითაცილების წესი ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობას ითვალისწინებს, რაც ასევე პრობლემურია. კერძოდ, ამგვარი საფუძვლის გამოვლენის შემთხვევაში, საქმე ეგზავნება თავმჯდომარეს, რომელიც ასევე ბუნდოვანი პროცედურის თანახმად, მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს/შემადგენლობას.<sup>77</sup>

შედეგად, მსგავსი მოწესრიგება საქმის განხილვიდან მოსამართლის დაუსაბუთებლად აცილების/თვითაცილების შესაძლებლობას ქმნის და მის საქმიანობაზე არასათანადო ზემოქმედების რისკებს შეიცავს.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლის აცილების/თვითაცილების მოწესრიგების თაობაზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, სასამართლოები მიუთითებენ, რომ ასეთ შემთხვევაში, საქმეს, ამ მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, საპროცესო კანონმდებლობითა და საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებით დადგენილი წესით ანაწილებს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, დაუყოვნებლივ, შემთხვევითი განაწილების პრინციპით.<sup>78</sup>

ამბროლაურისა და საჩხერის რაიონული სასამართლოების განმარტებით, ვინაიდან თითოეულში სამოსამართლო უფლებამოსილებას მხოლოდ 1 მოსამართლე ახორციელებს, მოსამართლის თვითაცილების/აცილების შემთხვევაში, საქმე დაუყოვნებლივ ეგზავნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, საქმის სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოსთვის გადასაცემად.<sup>79</sup> სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ინფორმაციით კი,<sup>80</sup> სადაც ასევე მხოლოდ 1 მოსამართლე ასრულებს უფლებამოსილებას, საანგარიშო პერიოდში აცილების/თვითაცილების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

## 2.5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემურია საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტების წესი. კერძოდ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ამგვარ შემადგენლობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე, საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.<sup>81</sup> რაც შეეხება

<sup>77</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 62, 65; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.

<sup>78</sup> ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №3270, ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №3025; გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №გ/პ-1855; ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №გ/პ-501; ზესტაფონის 2021 წლის 15 ოქტომბრის №9-191 წერილი, ასევე, 2022 წლის 6 მაისის №9-60 წერილი; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 ოქტომბრის წერილი №99, ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №47.

<sup>79</sup> ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №373, ასევე, 2022 წლის 5 მაისის წერილი №130; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი №4038; ასევე, 2022 წლის 10 მაისის წერილი №2266.

<sup>80</sup> სოხუმის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის ოფიციალური წერილი.

<sup>81</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4, პუნქტი 7.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს, კოლეგიური განხილვისას ელექტრონული სისტემის საშუალებით საქმე შემთხვევითად ნაწილდება თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.<sup>82</sup> თუმცა კანონმდებლობა კოლეგიის დანარჩენი მოსამართლეების არჩევის წესსა და პროცედურაზე არაფერს ამბობს. ამ პრობლემებზე უთითებს პირველი და მეორე მონიტორინგის ანგარიშებიც, თუმცა ცვლილებაზე უფლებამოსილი ორგანოებისგან მათ რეაგირება არ მოჰყოლია.<sup>83</sup>

კვლავ გამონაკლისად რჩება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, სადაც საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა შემთხვევითად არჩევს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეებს, საქმის თავდაპირველი განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით.<sup>84</sup>

არსებითად იმავე შინაარსის მატარებელია საერთო სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული განმარტებებიც. კერძოდ, ზოგიერთი მსხვილი სასამართლოს განმარტებით, კოლეგიურად საქმის განხილვისას მოსამართლეთა მყარი კოლეგიური შემადგენლობების შექმნას კანონმდებლობა სავალდებულოდ არ ხდის და შესაბამისად, პრაქტიკაშიც განსაზღვრული არ არის.<sup>85</sup> თუმცა მათივე განმარტებით, „საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მათი დატვირთულობის (საქმეთა რაოდენობის) და დანიშნული/დასანიშნი პროცესების გრძელვადიანი განრიგის გათვალისწინებით (სასამართლო სხდომების ურთიერთდამთხვევის თავიდან ასარიდებლად) ქმნიან კოლეგიებს, რომლებიც, როგორც წესი, ერთგვარი სტაბილურობით ხასიათდებიან“.<sup>86</sup>

## 2.6. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხება

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, საქმეთა რიგითობის წესით განაწილების (საქმეების შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით) შესაძლებლობას ადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“

<sup>82</sup> იქვე, მუხლი 4, პუნქტი 9.

<sup>83</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 21-22; „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 33-35.

<sup>84</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4, პუნქტი 10.

<sup>85</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის წერილი №554-2/10, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №257-2/10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის წერილი №3/8994, ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №3/3730; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი №3-727-2021, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №3-441-22.

<sup>86</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის წერილი №3/8994, ასევე, 2022 წლის 6 მაისის წერილი №3/3730; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი №3-727-2021, ასევე, 2022 წლის 4 მაისის წერილი №3-441-22.

საქართველოს ორგანული კანონი. მისი კონკრეტული მოწესრიგება კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

კერძოდ, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილი თანამშრომელი საქმეებს რიგითობით აწილებს იმ შემთხვევაში, თუკი ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა 2 დღეს აღემატება. საქმეთა განაწილების წესი ასევე ითვალისწინებს დამატებით საგამონაკლისო შემთხვევებს: ა) როდესაც არსებობს დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე; ან ბ) შემოსული საქმის განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია, შეფერხების ვადა კი სამ საათს აღემატება.<sup>87</sup>

ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრას უზრუნველყოფს სსიპ-საერთო სასამართლოების დეპარტამენტი/ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. სისტემის შეფერხებასა და მის აღმოფხვრაზე ინფორმაცია კი დამატებით ასევე ეცნობება შესაბამისი სასამართლოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს.<sup>88</sup>

2018 წელს შეფერხების 6 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთა დროსაც ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე, რიგითობის წესის დაცვით 46 საქმე განაწილდა,<sup>89</sup> ხოლო 2019 წელს, შეფერხების მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა.<sup>90</sup> ეს ტენდენცია ისევ დადებითად გრძელდება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცნობით, საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პროგრამა არ შეფერხებულა.<sup>91</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში პრობლემა თითქოს გადაჭრილია და სისტემის ტექნიკური გამართულობა გაუმჯობესებულია, სამართლებრივი რეგულირების სიზუსტე მნიშვნელობას არ კარგავს. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქმეთა რიგითობით განაწილება გულისხმობს, ერთი მხრივ, საქმეების შემოსვლის რიგითობის, მეორე მხრივ კი - მოსამართლეთა რიგითობის დადგენას. თუმცა, რამდენადაც, ეს განაწილება ელექტრონული სისტემის მეშვეობით არ ხდება და თავად წესის არსებობის საჭიროება, ძირითადად, დროში სწრაფად განსახილველ საქმეებს უკავშირდება, სამართლებრივი რეგულირების მკაფიოდ გაწერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აქვე საყურადღებოა თავად სასამართლოს კანცელარიის, როგორც საქმეთა განაწილების სისტემაში ჩართული ერთეულის, ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხიც. შესაბამისად, ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია გამართული და თანმიმდევრული სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, რათა შეფერხების გამოვლენის შემთხვევაში, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საქმეთა განაწილების პროცედურა და სისტემის

<sup>87</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6, პუნქტი 3.

<sup>88</sup> იქვე, მუხლი 6, პუნქტი 5.

<sup>89</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 38.

<sup>90</sup> „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 20.

<sup>91</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 დეკემბრის წერილი №887/2840-03-ო, ასევე, 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.



ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებებისა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

## 2.7. საქმეთა განაწილების სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უწყება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დეპარტამენტის თავმჯდომარეს საბჭო კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.<sup>92</sup> დეპარტამენტის ფუნქციებში, მათ შორის, შედის საქმეთა განაწილების პროგრამის ფუნქციონირების ზედამხედველობა, არსებული ინფორმაციის ანალიზი და საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენაც.<sup>93</sup>

რაც შეეხება უშუალოდ საქმეთა განაწილების სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილეობას, სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს: ა) მოსამართლეთა შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანას, ასევე, რეგისტრაციის მონაცემების გაუქმებას; ბ) მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებით შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას.<sup>94</sup>

შესაბამისად, ამ უწყების ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირველი და მეორე მონიტორინგის შედეგად, ერთ-ერთი რეკომენდაცია, სწორედ მენეჯმენტის დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული რაოდენობის სრულად დაკომპლექტება იყო.<sup>95</sup> ეს არა მხოლოდ დეპარტამენტის თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილებას და სამუშაოს ეფექტიანად შესრულებას შეუწყობს ხელს, არამედ ამ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენების ერთგვარი პრევენციაც არის, რამდენადაც პასუხისმგებლობა გადანაწილებულია სხვადასხვა თანამშრომელს შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც დეპარტამენტის დაკომპლექტებაში წამყვან როლს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასრულებს.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემადგენლობა განსაზღვრულია დეპარტამენტის უფროსის, 3 უფროსი კონსულტანტისა და 3 კონსულტანტის საშტატო ერთეულით.<sup>96</sup> თუმცა მესამე საანგარიშო პერიოდში პროექტის გუნდის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მენეჯმენტის

<sup>92</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 56<sup>2</sup>

<sup>93</sup> იქვე, მუხლი 56<sup>1</sup>

<sup>94</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 7.

<sup>95</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 47-48. „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 44.

<sup>96</sup> „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილება.



დეპარტამენტისათვის განსაზღვრული საშტატო ერთეულებიდან, თავმჯდომარის გარდა, შეესაბამება 3 ადგილი. დღემდე ვაკანტური რჩება 3 საშტატო ერთეული: 1 უფროსი კონსულტანტისა და 2 კონსულტანტის თანამდებობები.<sup>97</sup>

მნიშვნელოვანია ისიც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დამატებით, მენეჯმენტის დაქვემდებარებაშია ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებული იყო 27 პირი.<sup>98</sup>

## 2.8. საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში ზეგავლენის მოხდენის რისკები

წინა მონიტორინგის ანგარიშებში<sup>99</sup> საქმეთა განაწილების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა კონკრეტული დანაყოფებისა თუ თანამდებობის პირების უფლებამოსილებების პრობლემურობა. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენების რისკების მინიმუმამდე შემცირებაა, თუმცა არსებული მოწესრიგება ამას ვერ უზრუნველყოფს. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად ბუნდოვანია როგორც სასამართლოს თავმჯდომარეების,<sup>100</sup> ისე სასამართლოების კანცელარიებისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი, უფლებამოსილებები და მათი საქმიანობის პროცედურული მოწესრიგება.

სასამართლოს თავმჯდომარეებთან მიმართებით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ის არის, რომ მოსამართლეების მიერ კი არ აირჩევიან, არამედ მათ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს. თავად საბჭოში არსებული კლანურობისა და კორპორატივიზმის პრაქტიკების გათვალისწინებით, ასეთი მოწესრიგება თავმჯდომარეების საშუალებით ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის. საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების მჭიდრო კავშირები სამოქალაქო სექტორის კრიტიკის საფუძველი წარსულშიც მრავალჯერ გამხდარა.

<sup>97</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის წერილი №431/1158-03-ო.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 33. „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, 2020, გვ. 24-33.

<sup>100</sup> არასამთავრობო ორგანიზაციამ, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, საქართველოს პარლამენტს 2018 წელს საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში თავმჯდომარეთა როლის მინიმუმამდე შემცირებასთან დაკავშირებული ორი საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა. პარლამენტისთვის საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე წარდგენილი წინადადებები ითვალისწინებდა ცვლილებებს, რომლითაც მოსამართლის აცილების/თვითააცილების პროცესში თავმჯდომარის მონაწილეობა მინიმუმამდე შემცირდებოდა და ახალი მოსამართლე საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამით შეირჩეოდა. სამწუხაროდ, ამ საკანონმდებლო ინიციატივაზე მსჯელობა სასამართლო სისტემის „მეოთხე ტალღის“ რეფორმის საკითხებთან ერთად არ წარმართულა. ამ ეტაპზე წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს გადაწყვეტილება არ მიუღია.

ეს განსაკუთრებულად პრობლემურია იმ ფონზე, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ ამ პროცესში მისაღები გადაწყვეტილებებისთვის კანონმდებლობა სათანადო პროცედურულ ჩარჩოს ან ბუნდოვნად განსაზღვრავს, ან საერთოდ არ ადგენს, თავად გადაწყვეტილებები კი დასაბუთებას არ საჭიროებს. სწორედ თავმჯდომარეების ბუნდოვანი და ფართო დისკრეციული უფლებამოსილებებიდან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობდა, მათ შორის, ვენეციის კომისია ჯერ კიდევ 2014 წელს, იმ დროისათვის არსებული საქმეთა განაწილების სისტემისა და სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ შეფასებისას. კომისია მიუთითებდა, რომ სასამართლოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების ხელთ არსებული მსგავსი არაგანჭვრეტადი და დაუბალანსებელი ძალაუფლება, შესაძლოა, არასწორი მიზნებით, კერძოდ, ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლისთვის ყოფილიყო გამოყენებული.<sup>101</sup> ამის მიუხედავად, საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის ეს მნიშვნელოვანი პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩება.

როგორც ამ და წინა მონიტორინგის ანგარიშებშია განხილული, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარეთა პრობლემურ უფლებამოსილებებს შორის კვლავ არის:

- თავმჯდომარეთა მიერ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვისა და დატვირთულობის გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილება
- მორიგეობის დადგენისა და მასში ცვლილებების დაუსაბუთებლად, გაუმართავი პროცედურით შეტანის უფლებამოსილება
- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების უფლებამოსილება ნათლად დადგენილი პროცედურის გარეშე
- მოსამართლეთა თვითაცილების/აცილების დროს თავმჯდომარეთა ჩართულობა
- კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში თავმჯდომარეთა მონაწილეობა.

რაც შეეხება სასამართლოს კანცელარიასა და მენეჯმენტის დეპარტამენტის როლს საქმეთა ელექტრონულად განაწილების პროცესში, როგორც აღინიშნა, სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემებისა და კონტექსტის გათვალისწინება, ამ საკითხშიც რელევანტურია. ერთი მხრივ, კანცელარიის საქმიანობის პროცესის ბუნდოვანი მოწესრიგება და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, მეორე მხრივ კი, მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციები და მისი დაკომპლექტების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი კვლავ ტოვებს საქმეთა განაწილების სისტემაზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენისა და ამ გზით მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასა და საქმიანობაში ჩარევის რისკებს.

## დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ საქმეთა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების შესახებ ამ დრომდე

<sup>101</sup> European commission for democracy through law (Venice commission), joint opinion on the draft law on amendments to the organic law on general courts CDL-AD(2014)031, para. 78-79.

მიღებული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმეთა ელექტრონული წესის დახვეწა აღარ არის პრიორიტეტი და შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებითი და სისტემური ხედვა არ არსებობს. ამასთანავე, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტები, რაც სისტემას კიდევ უფრო ჩაკეტილს ხდის და ამცირებს მისი სრულფასოვანი მონიტორინგის შესაძლებლობას. ბოლოს, რიგ შემთხვევებში კვლავ ბუნდოვანი და პრობლემურია საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემაში მონაწილე ორგანოებისა და სასამართლოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირების უფლებამოსილებები. ეს კი ხელს უშლის სისტემის დანერგვით დასახული მიზნების სრულფასოვნად მიღწევას, საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებელ საქმიანობას და მიუკერძოებელ და გამართულად ფუნქციონირებად მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

შესაბამისად, სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, აუცილებელია, გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- აუცილებელია, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთობლივად და პრიორიტეტულად გადადგან შემდგომი ქმედითი ნაბიჯები საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს დასახვეწად;
- მნიშვნელოვანია, საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებულ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას და მასში მონაწილე უფლებამოსილი ორგანოების/თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას;
- საქმეთა ელექტრონულად განაწილების სისტემის სრულყოფილად ასამოქმედებლად, აუცილებელია, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფა;
- მნიშვნელოვანია, გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები საქმეთა ელექტრონული განაწილებისას მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველსაყოფად და ამ პროცესში დამატებით საქმის სირთულისა და წონის კრიტერიუმების გასათვალისწინებლად;
- სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული კლანურობის მანკიერი პრაქტიკების, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნის პირობებში, აუცილებელია, მინიმუმამდე შემცირდეს თავმჯდომარეების როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაში. ამასთანავე, მკაფიოდ განისაზღვროს მათ მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცედურული საფუძვლები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლების ცვლილება
  - მორიგეობის გრაფიკის დადგენა და მასში ცვლილებების შეტანა

- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა
- კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა
- მოსამართლის აცილება/თვითაცილება.
- აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების არსებობისას საქმეთა სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურა;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილებათა გათვალისწინებით, აუცილებელია, ამ უფლებამოსილებათა და მათი განხორციელების პროცედურული საფუძვლების განჭვრეტადი რეგულირება;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დეპარტამენტის სრულად დაკომპლექტება.